

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების მოთხოვნების შესრულების თაობაზე

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის (შემდგომში - მუზეუმი) გენერალური დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №810 ბრძანების შესაბამისად, მუზეუმის საჯარო ინფორმაციის გამცემი პირია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი თამარ კოკოჩაშვილი და მის ვალდებულებას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული კორესპონდენციის ხელმოწერა.

სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 2021 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული 16 განცხადებიდან 2022 წლის პირველ იანვრამდე დაკმაყოფილდა 13.

მუზეუმში ადგილი აქვს თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) შეგროვება, დამუშავებასა და შენახვა. მუზეუმის მიერ აღნიშნული მონაცემების დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემოვიდა 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი ქმედების განხორციელების და პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ. საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მუზეუმის მხრიდან გასაჩივრებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ წარმოშობილა. ამასთან, ადგილი არ ჰქონდა მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას და მუზეუმის თანამშრომლის დისციპლინური სახდელის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ადგილი არ ჰქონია.